ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯუმბერი ბერძენიშვილის წლიური ანგარიში

სახელი: ჯუმბერი

გვარი: ბერძენიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

არჩევის წესი: მაჟორიტარული

კომისია: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ფრაქცია: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი:

მორიგი [√]

რიგგარეშე [ ]

1.საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

1.1. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე) 12

1.2. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ სხდომებზე დასწრების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე 12

1.3. საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება

- ინიცირებული გადაწყვეტილების პროექტის დასახელება:

ჩემს მიერ არ მომხდარა საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტის ინიცირება და მომზადება.

1.4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი;

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი,
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ;
6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2023-2024 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

1.5. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხებს მხარს ვუჭერდი, თუმცა რიგ შემთხვევებში მქონდა გარკვეული სახის მოსაზრებები და შენიშვნები.

2.საკრებულოს კომისიებში, ფრაქციაში და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა

2.1. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი	22
2.2. საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე დასწრების რაოდენობა	22
2.3.საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების რაოდენობა	0
2.4. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებზე დასწრება	0
2.5. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი	11
2.6. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა	11

3.საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი დასმული შეკითხვები, მიღებული პასუხები:

- ანგარიშვალდებული პირი/ორგანო:
  -მუნიციპალიტეტის მერი;
  -არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;

- დასმული შეკითხვა:

-დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ორ ქუჩაზე (რამიშვილისა და მგალობლიშვილის ქუჩები) საჭიროა გარე განათების მოწყობა აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს შესაბამისი რესურსი?

-რა პერიოდში განხორციელდება შიდა გზების რეაბილიტაცია დაბის ტერიტორიაზე?

-იგეგმება თუ არა დაბის ტერიტორიაზე საბავშვო-გასართობი სივრცის რეაბილიტაცია?

- მიღებული პასუხი:

-უხლოეს პერიოდში დავიწყებთ აღნიშნულ საკითხზე მუშაობას და მოხდება მისი მოგვარებისათვის საჭირო თანხის გამოყოფა ბიუჯეტში.

-აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა, განხორციელებულია პროექტირების სამუშაოები და 2024-2025 წლებში დაბის ტერიტორიაზე სრულად განხორციელდება შიდა გზების რეაბილიტაცია.

- 2024 წელს იგეგმება საბავშვო-გასართობი სივრცის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყება.

4. ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა:

4.1. საანგარიშო პერიოდში მიღებაზე მოსული მოქალაქეთა რაოდენობა	300
4.2.საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებზე დამსწრეთა რაოდენობა	0

4.3.მოქალაქეების მიერ დასმული საკითხები:

- საკითხების დასახელება
  ყოველდღიურ რეჟიმში მაქვს კომუნიკაცია მოქალაქეებთან, შეხვედრებს ვმართავ, როგორც ადგილზე მათი მოთხოვნის შესაბამისად, ისე ადმინისტრაციულ შენობაში.
  მოქალაქეები ძირითად პრობლემად ასახელებენ:
  -სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს;

-მოუწესრიგებელ სანიაღვრე არხებს, რის შედეგადაც ძლიერი წვიმების გამო გაიზარდა სტიქიის შედეგად გამოწვეული ზიანის რაოდენობა;
-შიდა გზების რეაბილიტაცია;
-წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და ქუჩებზე გადაადგილება;
- საბავშვო გასართობი სკვერების, მოქალაქეთათვის გასართობი და დასასვენებელი თავშეყრის ადგილების მოწესრიგებისა და მოწყობის პრობლემები;
-საბავშვო ბაღებში გასართობი ინფრასტრუქტურითა და სათამაშოებით მომარაგების საკითხები;
-სპორტულ გამაჯანსაღებელი და კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეების შექმნის აუცილებლობა.

- საკრებულოს წევრის მიერ მიღებული ზომები

ადგილზე გავეცანი ყველა დასახელებულ პრობლემას, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად, რომლებმაც მოახდინეს პრობლემის იდენტიფიცირება/აღწერა. მოქალაქეებთან შეხვედრებისას მათ ვაწვდი ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა, ვეხმარები მათ მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაციაში. ასევე კომუნიკაცია გამაჩნია მუნიციპალურ სამსახურებთან, როგორც მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ასევე მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებთან, რომლებიც საქმიანობენ კულტურისა და სპორტის მიმართულებით, რათა ხელმისაწვდომი იყვეს ყველა ჩოხატაურში მცხოვრები ბენეფიციარისათვის ის წრეები და სწავლების ჯგუფები რომლებსაც უზრუნველყოფს აღნიშნული სამსახურები. აღნიშნული პრობლემების შესახებ იმართება მსჯელობები და შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ხელშეწყობა ყველა ამ მიმართულებების განსავითარებლად.

- მიღებული შედეგები:

მერიის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის შედეგად მიმდინარეობს სამუშაოები დასახელებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე გამოვლინდა არაერთი მოქალაქე, რომელსაც ესაჭიროება და გაეწია სოციალურ-ეკონომიკური დახმარება;

ჩემი აქტიური ჩართულობით დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები და მოქალაქეთათვის შესაბამისი დახმარების გაწევა;

მოქალაქეების მიერ დასახელებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, საბავშვო ბაღებში გასართობი ინფრასტრუქტურითა და სათამაშოებით მომარაგების საკითხები, სპორტულ გამაჯანსაღებელი და კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეების შექმნის აუცილებლობა განხილულ იქნა მერიის შესაბამის სამსახურებთან და მიმდინარეობს ბიუჯეტში ასახვისა და შემდგომში მათი აღმოფხვრისათვის საჭირო პროცედურები.

5. ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის სხვა ფორმები

5.1. მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში).

ჩემს მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება მოქალაქეების საჭიროებათა კვლევა, აღნიშნული ეფუძნება თითოეულ მოქალაქესთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომლის ოფიციალური აღრიცხვაც არ ხდება.

კვლევის შედეგად მოქალაქეთა მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმართ კმაყოფილების ხარისხი მაღალია, თუმცა ისინი ასახელებენ გარკვეული სახის საჭიროებებს, რომლის შესახებაც ანგარიშის 4.3 პუნქტში აღვნიშნე.

5.2. საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებისა და გამოცდილების აღწერა (არსებობის შემთხვევაში)

შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე ვთანამშრომლობ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.

5.3. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა (შეხვედრებზე, ტრენინგებზე დასწრება, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ საბჭოებში მონაწილეობა):

-ვარ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი.

-საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებში.

-მონაწილეობას ვიღებდი დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში.

ვესწრებოდი შემდეგ ტრენინგებს:

-სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ, ტრენინგებს „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება";

-,,საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულება"

-,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებულ ტრენინგს „საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება"

6. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ:

ჩემთვის პრიორიტეტია მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა და ჩემი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მათი აღმოფხვრა;

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

დაბის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის შემუშავება და აღსრულება;

როგორც დაბის დეპუტატსა და ამასთანავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გამაჩნია ჩემი შეხედულებები და ჩამოყალიბებული მოსაზრებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებების და სპორტული ინფრასტრუქტურის, ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის შესაბამისი სივრცეების არსებობის განვითარების კუთხით. რაზეც ვმუშაობ და ჩვენს გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ , რათა აღნიშნული პროექტები რეალიზებული იქნას მომდევნო წლებში.

ანგარიშის მომზადების თარიღი:09/10/2023 წ

ხელმოწერა: